ოთხშაბათი, 10 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 ოთხშაბათი, 10 მარტი 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით . .	10 მ. — კ.
11 ,, . .	9 ,, 50 ,,
10 ,, . .	8 ,, 75 ,,
9 ,, . .	8 ,, — ,,
8 ,, . .	7 ,, 25 ,,
7 ,, . .	6 ,, 50 ,,
6 ,, . .	6 ,, — ,,
5 ,, . .	5 ,, 50 ,,
4 ,, . .	4 ,, 75 ,,
3 ,, . .	3 ,, 50 ,,
2 ,, . .	2 ,, 75 ,,
1 ,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 63 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 63

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჯდირს 8 მან. 75 კაპ.

ღალატი

თავ. ალ. სუმბათაშვილის დრამა ლეგენდა,
თარგმ. გრ. ყიფშიძისა.
წარმოდგენილი იქნება
შაბათს, 13 მარტს
ქართულს თეატრში
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ

დაკლებულის ფასებით: პარტერი 40 კაპ.-დან 1 მ. 50 კაპ.-მდე, გალერეა 20 კ.—35 კაპ., ლოჟები 4 მან. 7 მან.-მდე.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

იჯარით აჰიღმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ეკლესიებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის მემომცემიძე.**

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ოთხშაბათს, 10 მარტს,
გაიმართება საინტერესო

ჭიდაობა

იჭიდავებენ: კავკასიელი მოჭიდავე **ცერაძე** და ცნობილი ფრანგი ცირკის მოჭიდავე **ვილიამ რობინე.**

ჭიდაობა გაიმართება წარმოდგენის მეორე განყოფილებაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი. დაწვრილებითი ცნობები პროგრამებშია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ. (1—57—1).

ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, ამ ირთდ სცნობ ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიათ, დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

იმერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობამოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე. (30—6.—10).

სადიდმარხვო სეზონი

ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 მარტს 1904 წ.,
ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ
წარმოდგენილი იქნება

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა, თარგ. ივ. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად შაბათისათვის «ღალატი» დაკლებულის ფასებით.

ამხანაგობის გამგე ვალ. გუნია

არტისტიული საზოგად. თეატრი.

კვირას, 14 მარტს 1904 წელს,

ქართულ დრამატ. დასის არტისტების მიერ ქ-ნთ საფაროვ-აბაშიძის, ე. მესხის, ნ. ჩხეიძის; ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის, კ. მესხის, მ. ქორიძისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება თ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

ღალატი

დრამატიული ლეგენდა 5 მოქ., თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ე. მესხი, ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძისა. ბნნი: ვლ. ალექსი მესხიშვილი, კ. მესხი, ქორიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ადამიძე, საფაროვი, იორდანიშვილი, სარჯველაძე, ბაქრაძე, მატარაძე, გვარაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება არტისტიულ თეატრის კასაში,

გამგე ა. იმედაშვილი

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 10 მარტს 1904 წელს,

საიმპერატორო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, არტისტკის ო. ა შულგინასი, ა. მ. ბრაგინისა და საიმპერატორო თეატრის არტისტის დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: შულგინა, იანსა, როდიონოვა, ლელინა; ბ-ნნი: დავიდოვი, ბუხტოიაროვი, ბრაგინი, ილიუშენკო, რაზუმნი.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 11 მარტს, საიმპერატორო თეატრის არტისტკის მ. ა. დუბროვსკაიას, საიმპ. თეატ. არტისტის ა. მ. დავიდოვისა, არტისტის ბარიტონის ა. მ. ბრაგინისა და საიმპერატ. თეატრის არტისტის დ. ი. ბუხტოიაროვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «დუბროვსკი», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ნაპრავნიკისა

პარასკევს, 12 მარტს, წარმოდგენილი იქნება «ლაკმე», ოპერა 3 მოქმ., მუსიკა დელიბასი.

შაბათს, 13 მარტს, «გალა» წარმოდგენა,—საიმპერატორო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება «სამსონ და დალილა». კვირას, 14 მარტს, დანიშნულია გამოსათხოვარი წარმოდგენა და ბენეფისი საიმპერატორო თეატრის არტისტის ა. მ. დავიდოვისა; წარმოდგენილი იქნება: 1) «პაიაცები» და 2) „ჰამლეტი“ (წარმოადგენენ მე-2 და მე-5 მოქმედებას).

ბილეთები იყიდება.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოღაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს.ე ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჰიჰინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

მ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მოსინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. ილსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. მ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

ადმირალ ტოგოს მეცადინეობა.—წვრილი ამბავი.—შავის ზღვის ფლოტი.—იაპონელი ქალი.—იაპონიამ თავის ნოტაში ომი გამოუცხადა რუსეთს თუ არა?

ადმირალი ტოგო, 26 თებერვლის შემდეგ, როდესაც ის თავის ესკადრით პორტ-არტურს დაეცა, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს გარს უვლიდა იმ განზრახვით, რომ იაპონიის ჯარი გადაეყვანა რომელისამე ნავთსადგურიდგან ხმელეთზე. გენერალი ჟილინსკი დეპეშით იტყობინებოდა 29 თებერვალს, რომ იაპონიის რამდენიმე სამხედრო გემი დაცურავდა ლიაოდუნის ყურესთან ჩრდილოეთით 100 მილის მანძილზედ ლიაო-ტე-შანის კონცხიდგან და პროჟექტორებით ელენეს ნავთსადგურს ანათებდაო. სინათლე სჩანდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სადგურ სენ-იუ-ჩენიდგან. განათებული იყო აგრეთვე სედლისა და ტოუერის ნავთსადგურები. ამ სამ ნავთსადგურთაგან ჯარის გადასაყვანად ელენეს ნავთსადგურია, რომელიც სამხრეთით არის და საკმაოდ ფართოა. აქედგან სედლის ნავთსადგურამდე 15 მილია, ხოლო ტოუერის ნავთსადგური იმას იქით არის 10 მილის სიშორეზე, ტოუერიდგან ინკოუმდე 25 მილია. ამრიგად ადმირალ ტოგოს ესკადრამ დაათვალიერა და გამოიკვლია ყველა ხელმისაწვდომი ადგილები ნიუ-ჩუანამდე. საფიქრებელია რომ იაპონიის ჯარს მეორე-მესამე დღეს გადასვლა უნდოდა ელენეს ნავთსადგურში. თუ რომ დაგვიანება ნდომებოდეს, ასე არ დააჩქარებდა მიდამოს დათვალიერებას და თავისს განზრახვას წინადვე არ გაამჟღავნებდა. თვით ნიუ-ჩუანში ჯარის გადასვლა შეუძლებელია, რადგან მდინარე ლიაოხეს ბოლოჯერ ისევ გაყინულია, ნაღმებითაც არის მოკირწყვლული და, ამას გარდა, რუსის ჯარიცა სდგას—7,000 კაცამდე. ელენეს ნავთსადგური ნიუ-ჩუანზე დაშორებულია 120 ვერსით და პორტ-არტურზე—180 ვერსით; მაშასადამე, იაპონიის ჯარის გადასვლას ხმელეთზე ამ ნავთ-სადგურთან, და ისიც ღამე, არავინ დაუშლიდა. ერთს ღამეს შეეძლოთ გადაესხათ მთელი ბრიგადა ანუ 7,000 კაცი, და მეორე ღა-

მესაც ამდენივე. იმავე დღეს ნიუ-ჩჟუანიდგან რუსის ჯარი რომ გაეგზავნათ რკინის გზით, შესაძლო იქნებოდა ორს დღეში 8—10,000 კაცი გაჩენილიყო ელენეს ნავთსადგურთან და მესამე-მეოთხე დღეს იაპონიის ჯარს შეებრძოლებოდა.

მაგრამ 28 თებერვლიდგან ამინდი შეიცვალა და იაპონელებმა თავის ჯარის გადაყვანა ველარ მოახერხეს. ეხლა-კი რუსის ჯარი ელენეს ნავთსადგურს დაუახლოვდა და იქ იაპონელები ველარას გახდებიან. ამისთვის თუ ყვიროდნენ იაპონიის მომხრე გაზეთები,—იაპონიის ჯარი ნიუ-ჩჟუანში გადავიდაო და ის კი არა, თუ ამ მეგობართა ყვირილმა მარშალ ნოძუს განზრახვა და გეგმა გაამხილაო,—ამბობს «რუს. ვედომოსტის» თანამშრომელი ვ მ., ეს განზრახვა იაპონელებმა უნდა მიატოვონ, თუმცა ადმირალ ტოგოს ესკადრა პორტ-არტურს არა შორდება და 2 მარტსაც რამდენიმე გემი გარს უვლიდა.

—

გაზეთი «ექსამანი» იუწყება: სან-ფრანცისკოს ზარაფხანაში ამჟამად ფული იჭრება იაპონიისათვის. ბოლოს დროს შორეულ აღმოსავლეთიდგან ოცი გემი მოვიდა და საჭირო მადნეული მოიტანა, 4 მილიონად ღირებული. («რ. ვ.»).

—

იაპონიის სამხედრო კორესპონდენტები პენ-იანსა და ან-ჯუდგან სეულს გამოიწვიეს იმ განზრახვით, რომ არ გაეგებინონ, რასაც იაპონიის სარდლები აპირებენ ახლო მომავალში. უცხოელი და ინგლისის კორესპონდენტებიც-კი უკმაყოფილებას აცხადებენ. იაპონია-კი თავისას არ იშლის. გაზეთ «ტანის» კორესპონდენტს ნიშნებით შეატყობინეს, რომ ჯერ-ჯერობით მისი გემი ადგილიდან არ დაიძრას. მალე უნდა მოხდეს რამე, რადგან მდინარეებზე ყინული დადნა.

იაპონელები ირწმუნებიან, რომ პორტ-არტურს სწორედ ის ყუმბარები დაუშინეს, რომელიც მათგან დაპატიმრებულ გემს «მანჯურიას» წაართვეს და რომელიც პორტ-არტურის დასაცველად იყო გამზადებულიო.

ვიცე-ადმირალი მაკაროვი მოწადინებულია ვლადივოსტოკის ესკადრას შეუერთდეს, თუ რომ პორტ-არტურის გარშემო მოდარაჯე იაპონიის ესკადრას გაუსხლტა როგორმე. საოცარია, რომ ვლადივოსტოკის ესკადრაზე ამდენ ხანს სრულიად არა ისმის-რა.

ტოკიოდგან ცნობა მისულა ბერლინს, ვითომც ბუხტში ლაზარევთან ესკადრა უნახავთ, რომელშიაც 7 რუსის სამხედრო გემი ყოფილა. ჰფიქრობენ, ეს სწორედ ვლადივოსტოკის ესკადრა უნდა იყოს, რომელსაც შეეძლო ლაზარევის ნავთსადგურთან 16 საათის ვანმავლობაში მისულიყოო. («რ. ვ.»).

ლონდონის ფინანსისტები ამბობენ, იაპონია საკმაო გირაოს არ იძლევა, რომ სესხი მიეცესო. იაპონიის მოხელეებმა შეატყობინეს თავისს მთავრობას, რომ ინგლისში ვალის აღება საეჭვოაო. («ნოვ.»).

—

ჩემულპოში ორი დამღრჩვალი რუსის მეზღვაური შეუნიშნავთ ზღვაში, ამოუღიათ და სამხედრო წესით დაუმარხავთ. ოცი იაპონელი მეზღვაური მისდევდა პროცესიას და მათთან საპატიო დარაჯთა რაზმი ფრანგებისა და ამერიკელების მეზღვაურთ. კუბოებზედ რუსეთის ბაირაღები დაუწყვიათ. როდესაც მიცვალებულთ მიწას აბარებდნენ, საფრანგეთსა და ამერიკის მეზღვაურებს თოფები უსროლიათ. (იქვე).

—

გენერალი კიმშინო, იაპონელ ჯარის მოწინავე რაზმის სარდალი, პხიენ-იანიდგან ჩრდილოეთისკენ წასულა.

კორეის მცხოვრებნი სულ გაფანტულან და ამის გამო არც ერთ კორეელისაგან ამბის გაგება უცხოელ კორესპონდენტებს არ შეუძლიანთ.

გაზეთი «ნ. ი. ჰ.»-ი ამბობს: მდინარე იალუსა და პხიენ-იანს შორის რუსებს 5,000 ჯარის კაცი ჰყავთ; აღმოსავლეთ კორეაში, მდინარე ტუმენსა და გენზენს შორისაც 2,500 კაცზე მეტი არ იქმნებაო. («ნ. ვ.»).

—

ხაბაროვსკიდგან სწერენ «რუს. ვედ.»-ს: აქ სანოვაგე მეტად გაძვირდაო, გირვანქა ხორცი სამ აბაზად იყიდება და ბოთლი რძე ცხრა შაურადაო. გაძვირდა აგრეთვე სადგომებიც.

—

ხარბინიდგან იმავე გაზეთს ატყობინებენ, აქ საჩქაროდ ყაზარმებს აშენებენ 100,000 ჯარის კაცისთვის და 15 თებერვალს უთუოდ მზად უნდა ყოფილიყოვო.

—

ხარბინიდგან გენერალ-ლეიტენანტ ჩიჩაგოვს დეპეშა გაუგზავნია «წითელ ჯვრის» გამგეობისათვის: აქ ქაღალდის ფულის ფასი დაეცა და ყოველივე საჭირო ნივთები მეტად გაძვირდაო. საჯდომ ცხენის ყიდვა 100 მანათ ნაკლებ არ შეიძლება და ბარგის საზიდავისა—140 მანათ ნაკლებ. ნება მომეცით ამ ფასად ვიყიდოო. ჩინურ ეტლებისათვის-კი სამჯობინოა ჯორები ვიყიდოთ, რადგან აქაურ გზებზე ცხენით ეტლი არ დაჰყავთ. კარგი ჯორი 250 მანათი ჰღირს.

აღმასრულებელმა კომისიამ გაუგზავნა გენერალ ჩიჩაგოვს 10,000 მანათი და სთხოვა, ცხენებს გარდა 40 ჯორიც იყიდეთო. («რ. ვ.»).

—

მომავალ ზაფხულს, როგორც წინა წლებში, გაემართებიან სამოგზაუროდ შავ ზღვაზე შემდეგი გემები:

ჯავშნიანი გემები	„ეკატერინე მეორე“
—	„ტრი სვიატიტელია“
—	„გიორგი პობედონოსეც“
—	„როსტისლავ“
—	„ჩესმა“
—	„დვენადცატ აპოსტოლოვ“
—	„კნიაზ პოტიომკინ ტავრიჩესკი“
—	„სინოპ“
კრეისერები:	„კაპიტან საკენ“
—	„კაზარსკი“
—	„გრიდენ“
—	„პამიატ მერკურია“
ტრანსპორტები:	„დუნაი“
—	„პრუტ“
—	„ნესტორ“
—	„ჟაზუანე“
—	„ინგულ“
—	„ბუგ“
—	„დონეც“
—	„კაზბეკ“
—	„პენდერაკლია“
—	„ბერეზან“
საკანონერო ნავები:	„ტერეც“
—	„ურალეც“
კონტრ-ნაღმიანები	10
სამხედრო გემები:	„ერიკლიკ“
—	„ვეხა“
ნაღმის მმატარებლები	22. („კაზბეკ“).

—

გაზეთ «ნოვოე ვრემიაში» გადმობეჭდილი იყო წერილი პროფესორ მარტენსისა იაპონიის ნოტის შესახებ. პროფესორი სწერდა: «ეს ნოტა იუწყებოდა, რომ მოლაპარაკება მოსპობილია და დიპლომატიური კავშირი შეწყვეტილია, ხოლო მცირეოდნადაც არ იხსენიებდა, რომ შესაძლოა დაუყოვნებლივ ომი დაწყებულიყოს»-ო.

ამ წერილის პასუხად იმავე გაზეთში ალ. პილენკო სწერს:

«რამდენადაც მე ვიცი, ხსენებული ნოტა ასე თავდებოდა:

„დაადგა-რა ამ გადაწყვეტილებას, იაპონიის მთავრობა იტოვებს უფლებას, თავის მოსაზრებისამებრ, იმ საშუალებას მიჰმართოს, რომელიც საჭიროდ იქმნება ცნობილი განსამტკიცებლად და დასაცველად თავის საერთაშორისო მდგომარეობისა და, ამასთანავე, დასაცველად თავის კანონიერ ინტერესებისა“.

ეს ფრაზა, რამდენადაც ვიცით, ომის დაწყებასა ნიშნავს. ეს სიტყვები მე მომყავს უცხოელთა წყაროებიდგან, რადგან ჩვენმა გარეშე საქმეთა სამინისტრომ მოლაპარაკების შეწყვეტის ნოტა აქამომდე არ გამოაქვეყნა».

«ძალიან საინტერესოა საქმის ვითარების გამოსარკვევად,—ამბობს ალ. პილენკო,—განუმარტოს საზოგადოებას: იცოდა თუ არა პროფესორმა მარტენსმა იაპონიის ნოტის სრული შინაარსი, როდესაც თავის წერილს გაზეთ «ფიგაროში» აბეჭდვინებდა, თუ არა? მე-კი საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ არ სცოდნია».

—

იაპონელი ქალი.

ევროპიელები კარგად იცნობენ იაპონელ ქალსა და მისს ზნე-ჩვეულებას. გერმანელ მეცნიერს ბელცს დიდხანს უცხოვრია ტოკიოში, ყველა წოდების ქალების აგებულება შეუსწავლია და შემდეგ ცნობებს იძლევა, ანთროპოლოგიურს გამოკვლევაზე დაფუძნებულს:

მაღალის წოდების ქალები, რომელსაც «ხოშიუს» ეძახიან, უფრო ნაზის მოყვანილობისაა, გლეხი და მშრომელი ქალები-«საცუმად» წოდებულნი,—უფრო ძვალმსხვილია და უშნო. მაღალ წოდების ქალები უფრო მაღალის ტანისანიც არიან—2 არშინი და 1 ვერშოკი, დაბალის წოდებისანი-კი—მხოლოდ ორ არშინამდე იზრდებიან.

ხოშიუ ქალს მოგრძო და ვიწრო სახე აქვს, დაბალი შუბლი, ვიწრო პირი, ელამი თვალები, ცხვირი აწეული, გრძელი და ვიწრო ტანი, გამხდარი და გულმჩატე.

საცუმა-კი თავ-რგვალია, პირ-განიერი, მსუქან-ლოყებიანი, პატარა, ვიწრო თვალებიანი, ცხვირ-განიერი, პირ-განიერი, ტან-ჩასხმული, წელ-გრძელი და გულგამომჯდარი.

ხოშიუ და საცუმა სახის ფერითაც ირჩევიან. პირველი თეთრ-ყვითელია, მეორე-კი ბაცი ყავის ფერი.

როდესაც იაპონელი და ევროპიელი ქალები ერთადა სხედან, გეგონებათ, ერთის ტანისანი არიანო. თუ ფეხზე წამოდგნენ, მაშინ-კი დაინახავთ, რომ იაპონელები უფრო მომცრონი არიან. წელზევითი ტანი ერთნაირია, ხოლო მუხლები უფრო მოკლე აქვთ.

თუმცა იაპონელი ქალი ლამაზი არ არის, მაგრამ მიმზიდველის სახისა კი ბევრია. სახე, ყოველი ასო, ტანი და ხელფეხი უნაკლულო მოყვანილობისა აქვს. უფრო მოსაწონი-კი იაპონელ ქალისა ნაზი, ხავერდისებური რბილი და ბროლისავით გაშალაშინებული სახის კანია.

კაცობრიობას სხვა-და-სხვა დროსა და სხვა-და-სხვა ადგილას განსხვავებული წარმოდგენა აქვს კაცისა თუ ქალის პატიოსნებასა და ნამუს-სირცხვილზე.

იაპონელები ამ მხრივ ევროპიელებს არ ეთანხმებიან. იაპონიაში პატარა ეტლები კაცებს დააქვთ, ცხენების მაგიერ. ერთი ინგლისელი ქალი ჩამჯდარა ამისთანა ეტლში და მისეირნობდა. ზაფხული ყოფილა, მეეტლეს დასცხომია, გადაუძვრია ტანისამოსი და წელზევით სულ გატიტვლებულა. ინგლისელი ქალი განრისხებულა და ეტლიდან გადმომხტარა. იგივე ქალი-კი სიამოვნებით უყურებს მთლად გატიტვლებულ ქალისა ანუ კაცის სურათს. იაპონელები, პირიქით, ბუნებრივ სიტიტვლეს არ ამჩნევენ, გატიტვლებულ კაცის სურათი-კი სასაცილოდ არა ჰყოფნით, ხელოვნება ამაზე როგორ უნდა მოსცდესო. ახალგაზდა ქალები და კაცები შინ და გარედ ნახევრად, ანუ სრულიად, ტიტვლები მუშაობენ, აბანოშიაც-კი ერთად ბანაობენ და არც მორიდება, არც ბინძური რაიმე განზრახვა თავში არ მოუვათ. ბოლოს დროს-კი ევროპიელებს იაპონელი ქალებიც მორიდებით ექცევიან, და ამის მიზეზი თვით ევროპიელები არიან. მთავრობამ აკრძალა ნაციონალური ცეკვა ჯონ-კინი, რადგან მოცეკვავე ქალები სრულიად ტიტვლდებოდნენ და ამით ევროპიელთა წინაშე ვითომ უნამუსობას იჩენდნენ.

იპონელი ქალი მამა-კაცის მორჩილია: გასათხოვარი—მამისა და ცოლი—ქმრისა. რაც უნდა უბრძანოს თავის პატრონმა მამა-კაცმა, უნდა დაჰმორჩილდეს. მამამ რომ უთხრას გასათხოვარ ქალს,—შენის სხეულით ივაჭრეო, ის აასრულებს ბრძანებას, და ეს ნამუს ახდილობად არ ჩამოერთმევა. ხოლო თუ ძალად ინდომა ვინმემ მისი დამორჩილება, მაშინ-კი თავის პატივი უნდა დაიცვას. ამისათვის იაპონელ ქალს იარაღის ხმარებას პატარაობიდგანვე ასწავლიან. მაღალ წოდების ქალს უთუოდ ჯიბის ხანჯალი უნდა ჰქონდეს, რომ მოძალადეს გულში დასცეს, თუ არა და თავის ხელით განიგმიროს მკერდი; სირცხვილია მისთვის, თუ რომ ესეც ვერ მოახერხა. ყოველ ქალს ცოტაოდნად ანატომიასაც-კი ასწავლიან, რომ იცოდეს, რა ადგილს უნდა დაჰკრას ანუ დაიკრას ხანჯალი, ყელსა თუ გულში.

იაპონიაში ბევრი საროსკიპო სახლებია და როსკიპები ზნე-დაცემულ ქალებად არ მიაჩნიათ. თუ სხეულის ტანით ვაჭრობენ, ეგ იმას არ ამტკიცებს, რომ სულ ნამუსზე ხელ აღებულიაო. იაპონელი როსკიპი იმას თავის დღეში არ იკადრებს, რასაც ევროპიელი ქალები სჩადიანო. თუ რომ მამა-კაცებს როსკიპები სჭირდებათ, ფულითაც ახალისებენ, მაშ რაღად უნდა გაჰკიცხონო.

იაპონელი ქალები ძალიან ეტანებიან სწავლა-განათლებას. 1898 წელს პირველდაწყებით სკოლებში 2.582,277 ვაჟი სწავლობდა და 1,480,141 ქალი. საშუალო სასწავლებლებში იყო 8,589 ქალი. 1901 წელს ტოკიოში მაღალი კურსები დააარსეს ქალებისათვის და 550 მსმენელი ჩაეწერა.

იაპონელი ქალები ძველ დროიდგანვე მწერლობაში იღებენ მონაწილეობას. მე-XI საუკუნეში სახელგანთქმულსს მურასაკი-შიკიბუს 54 დიდი წიგნი დაუწერია, რომელშიაც დაუსურათებია ცხოვრება მდიდრებისა და ღარიბებისა; ისა ჰკიცხავდა მაღალ საზოგადოების სიამაყეს, ფლიდობასა და უნამუსობას. («ნ. დ.»).

ტ ფ ი ლ ი ს ი

⁂ «ცნობის ფურცელს» ქუთაისიდგან სწერენ: «გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილის თავ. დ. ო. ნიჟარაძის სახელზე, საერო განათლების მინისტრის ამხანაგისაგან შემდეგი წერილი მოუვიდა დეპუტატთა საკრებულოს თავად-აზნაურთაგან აღძრულ შუამდგომლობის პასუხად, შესახებ იმისა, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი ჩამოერთვას «ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» და გადაეცეს თავად-აზნაურობას: «თუმცა შესაძლოდა ვსცნობთ, რომ ხსენებული კლასები გადაეცეს თავად-აზნაურობის გამგეობას, დამოუკიდებელ სასწავლებლის მსგავსად, მაგრამ არ შემიძლიან დავეთანხმო, რომ ეს სასწავლებელი ექვემდებარებოდეს კერძო სასწავლებელთა წესდებას, რადგან ასეთი სასწავლებლების დაარსება შეუძლიანთ მხოლოდ კერძო კაცთ (მუხ. 3717, ტ. XI, ნაწ. I, კანონთა კრებულისა). ამისთვის, თავად-აზნაურთა ხელში გადაცემისათანავე, კლასები უნდა გადაკეთდეს პროგიმნაზიად, თანახმად კანონთა კრებულის მე-XI ტ. I ნაწ. 1472 მუხლისა, ყველა იმ უფლებით, რაც სახელმწიფო პროგიმნაზიებს აქვთ, ან და ამ უფლებათა მიუღებლად. უკანასკნელ შემთხვევაში, იგი უნდა დაექვემდებაროს ხსენებულ მუხლის მეორე ნაწილს თუ რომ თავად-აზნაურობა მოისურვებს, სასწავლებლის მართვა-გამგეობა მიანდოს იმისგან ამორჩეულ კაცთ». ვინც კანონთა კრებულის ხსენებულ მუხლებს წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ თავად-აზნაურთა შუამდგომლობა

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ისტორიულ პიესის წარმოდგენის გამო.

(ვუძღვნი ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას)

feci quod potui, meliori feciunt potentes.

ჩვენს თეატრში არა იშვიათად წარმოადგენენ ხოლმე ისტორიულის შინაარსის პიესებს. ამას წინად წარმოადგინეს, მაგალითად, «შოთა რუსთაველი». ამ პიესის ღირსება-ნაკლულევანებისას არას მოგახსენებთ. მსურს მხოლოდ გამოვსთქვა ჩემი აზრი—თუ სცენის მოწყობილობა, ტანთ-საცმელი, სახის გამომეტყველება (გრიმი), მიხვრა-მოხვრა მსახიობთა ამ წარმოდგენაზედ რამდენად ეთანხმებოდა ისტორიულ სინამდვილეს, ჭეშმარიტებას.

სახელმძღვანელოდ მქონდა ვახუშტის «საქართველოს ისრორია», დ. ბაქრაძის მიერ განმარტებულ-შესწორებული, თავ. გრიგორი გაგარინის «le caucase pittoresque», როგორც სხვა მისი, ეგრეთვე ჩვენი ძველი ნახატები, საბინინის «საქართველოს სამოთხე», მზითვის წიგნები: შაჰნავაზის მიერ გივი ამილახვარის მეუღლის თამარ ბატონიშვილისათვის 1667 წ.,*) ივანე დღენჯის შვილის ქალის ანნასი—1796 წ., მეფე არჩილის «საქართველოს ზნეობანი», მ. თეიმურაზის: «ქორწილი, მეფის ადგომა, დედოფლის საწოლს წასვლა» და სხვ., პლ. იოსელიანის «ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა», ჩემ მიერ ნახული და გაგონილი: თ. გრიგოლ ორბელიანისაგან, პლატონ იოსელიანისაგან, ყაფლან ორბელიანისაგან, ილია აბხაზისაგან, ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი და არხიმანდრიტი ტარასი ალექსიევ-მესხიევთაგან, მეტეხის დეკანოზის ეფრემ ალექსიევისაგან და სხვათა მცოდნეთა ჩვენი წარსულისა პირთაგან. თუ არ ვცდები, ჩვენ წინაპართ შესამოსლის შესახებ, ვახუშტის გარდა, არავის ხმა არ ამოუღია. ასე რომ ეს საგანი, როგორც თვით დ. ბაქრაძეც გვმოწმობს, დღემდე ხელუხლებელია. დრო-კია შევუდგეთ შესწავლებას ჩვენი წარსულისასა! დიდად შესაძლებელია, ამა თუ იმ საგნის შესახებ არა ერთი შეცდომა შემოგვეპაროს, ამას არ შევუშინდეთ და უშიშრად გამოვსთქვათ, განვუზიაროთ ჩვენ მოძმეთა ჩვენი აზრი, გამოკვლევა ამა თუ იმ საგნის შესახებ. აბუჩად აგვიგდებს ხოლოდ ბრიყვი, არა განვითარებული, არ გონებ გასხნილი გვამი... რასაც ვწერ, ვწერ არა საწყენად ვისიმე, არავის პირადობას არ ვეხები. ვწერ—რაც, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია ჩვენი სცენის და ეროვნების მოყვარეთათვის.

ა) როდის იყო თამარ მეფის დროს იმ გვარი გავალაკიანი სავარძელი, ყარყუმ მანტიით გადაფარებულ-მორთული, როგორიც აღმართული იყო ჩვენ სცენაზედ ორ ქრისტიშობისას? ყარყუმის მანტია დამლევამდისინ მე-XVIII საუკუნისა არ სხმიათ ჩვენ მეფეთა.

ბ) სად იყო თამარის დროს «ტაბურეტი», უზურგო სკამად წოდებული დ. ჩუბინაშვილის მიერ? რუსების შემოსვლამდისინ საქართველოში მისი ხსენება არ ყოფილა ჩვენში. დღესაც ჩვენ ენაზედ არ არსებობს განსაკუთრებითი მისი სახელი. «სკამი»-კი გვქონია; მაგრამ არი იმ გვარი როგორიც დღეს არის: ხის, მოკლე ზურგ სამფეხიანი, როგორსაც დღეს ნახავთ ქართველ მთიულებში.

გ) სად იყო იმ დროს ეხლანდელი მაღალ ფეხებიანი, გრძელი მაგიდა? მართალია, თუმცა, ვახუშტის სიტყვით («საქართვ. ისტ.» კამ. 9) ჩვენი წინაპარნი «ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდიან, სკამთა ზედა სხდიან»; მაგრამ ჯერ ერთი «ტაბლა» და სკამი იმ გვარი იყო, როგორსაც დღეს ვხედავთ მოხევეების, ქართველთ მთიულთა, მეგრელების სახლებში: მოკლე ფეხებიანი, ვიწრო ხისა (სკამის შესახებ ხო ზემოთ მოვიხსენიე), მეორე ის, რო ეს იყო, ვახუშტისავე მოწმობით, თამარის ბევრად უწინარეს. მის დროს და შემდეგ ჩვენ დრომდისინ ერთობ ქართველნი ისხდნენ ფერხთ მოკეცილნი ნოხ-ქეჩა ქვეშ ტახტზე გაშლილ ნალზე (ლეიბივიწრო, მოგრძლო, დორ-მუთაქებით მორთულზე, ანუ ამგვარადვე მორთულ იატაკზე. იმ ადგილს, სადაც ნალი იყო დაგებული, ზეიდან სუზანი იყო გადაშლილი, გადაფარებული. დღესაც ამგვარ ოთახის მოწყობილ-მორთულობას ნახავთ არა ერთ ძველ ოჯახში.

დ) თამარის დროს როდის ებუხათ (ეხურათ) თავს ეხლანდელი წოწოლა ჩერქეზული «ფაფახები?» როდის ეცვათ ტანს კოჭებამდისინ გრძელი «ჩერქესკა», როდის ეცვათ კინტაური, ორპირად შესაკრელი მოკლე ნაოჭ-მოკლე ახალუხი, საკინძ-გახსნილ-გადალაღებული, ყაფალიანი «ყარაბაღული», ქვინტიანი, ოქრომკედ-აბრეშუმ-ზორნით მორთული ჩაქმა? როდის ეკრათ წელზე ან განიერი, ან ვიწრო თასმის ჩერქეზული, ანუ სრულიად ვერცხლის ყაწიმებიანი ქამარი?

ე) სწერდნენ მუხლზე, და არა მაგიდაზე. მუხლზე დადებული თხელი ფიცარი ანუ დავთარი მაგიდობას უწევდა. ნაცვლად «ტრანსპარანტისა»—ფირფიტა იყო, რომელზედაც გაბმული იყო აბრეშუმის მომხო ძაფი. ამ ფირფიტაზე დასდებდნენ ქაღალდის ფურცელს და მაგრა ხელს წაუსვამდნენ და ქაღალდი იხაზებოდა. ამ გვარად დახაზული ქაღალდის ფურცელი, ამგვარი ფირფიტა-ტრანსპარანტი მინახავს დეკანოზ დიმიტრი და არხიმანტრიტ ტარასის ალექსიევ-მესხიევთა ხელში.

ვ) თუ არ გლოვიარე, რომელი ქართველი იყენებდა იმ დროს წვერს? ულვაში და არა წვერი იყო იმ დროს პატივში (საერთოთაშორის, რასაკვირველია). თავზე ირჩენდნენ ქოჩორს მხოლოდ, როგორც დღეს ხევსურნი. ჩემს ხსოვნაში ბევრნი მოხუცნი გლეხთაგანნი კეფა-შუბლ აპარსულნი იყვნენ, ქოჩორს, ირჩენდნენ მხოლოდ თავზე.

წინად, როგორც ქვემორე იქმნება მოხსენებული, გლოვიარე წვერ ულვაშს, წარბ-წამწამს, თავს აღიპარსამდა (ეგვიპტეში მოსეს დროს ესევე წესი იყო) და როდესაც ეს წესი გადავარდა, წვერის დაყენება და თმას აღარ აკვეცა შემოვიდა მხოლოდ მესამოცე წლებში წარსულ საუკუნოისა წვერის მუდმივე დაყენება და შერჩენა შემოიღეს ქართველთა სტუდენტებმა, რომელთაც რის გამო უწოდეს «წვეროსანნი». დარბაისელნი, მეფენი იყენებდნენ წვერს თამარის შემდეგ მიბაძვით ყიზილ-ბაშ-ოსმალთა, ანუ როცა გამაჰმადიანდებოდნენ—მე-XVII საუკუნის დამლევამდისინ. იმის შესახებ—თუ რისთვის არის შოთა წვერით დახატული—შემდეგ როდისმე მოვახსენებ მკითხველს. მიხვრა-მოხვრა ერთობ ქართველთა, მეტადრე ძველთა, და განსაკუთრებით მესხთა დარბაისლური («მესხი დარბაისელი»), დინჯი, ზრდილობიანი იყო. ლაპარაკის, მუსაიფის დროს ხმის ამაღლება, თვალების ბრიალი, თითქო გიჟი მოზვერი არისო, ხელების გაშლა, ქნევა, თითებ გაპარჭყული ხელის მაღლა აღებდაღება, «თითქო დედამიწიდგან, როგორც

---

*) ამ მზითვის სიას შემდეგ დავბეჭდავთ.
ავტორი.

შეუწყნარებია სამინისტროს და ჩვენის ღარიბ თავად-აზნაურობის ერთად-ერთ ხელმისაწვდენ სასწავლებელს დახურვა აღარ მოელის. ეხლა საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ აღძრულ იქმნას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სასწავლებელთან მომავალ სამოსწავლო წლისათვის გახსნილ იქმნას მეხუთე კლასი და შემდეგ ყოველ წელს თითო კლასი ემატოს, სანამ სასწავლებელი რვა კლასიანად გახდებოდეს. იმედია, თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც ამ წლის ათ მარტს უნდა მოხდეს, ყურადღებით მოეკიდება ამ საქმეს და ეცდება, რომ მომავალ წელსაც კურს-დამთავრებულები ისე უპატრონოდ არ დარჩნენ, როგორც წელს იყო».

⁂ «სუდებ. გაზ.»-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ცხარე წერილი, რომელშიაც მასხარად არის აღებული და სასტიკი დაცინვაა იმათი, ვინც ასეთის ციებ-ცხელებით იხდიან იუბილეებს და ჰმართავენ სადილებს სამოსამართლო მოხელეთა წარმომადგენელთათვის.

⁂ გაზ. «ცნობ. ფურც.»-ს ქუთაისიდგან ატყობინებენ შემდეგს: «6 მარტს, საღამოს 8½ საათზე, როცესაც ძმ. გოკიელოვების მაღაზიაში ვაჭრობა გაუთავებიათ, დარაბები მიუხურავთ და ნოქრები მაღაზიიდგან გამოსვლას აპირებდნენ, ამ დროს მაღაზიაში შეჭრილა ხუთი ბერდანით შეიარაღებული ავაზაკი და კასირისათვის ფული მოუთხოვნიათ. უკანასკნელს უთქვამს, ამ საღამოს მაღაზიის პატრონმა წაიღო რაც კასაში ფული იყო. მხოლოდ ოცი მანეთის ხურდა ფული დასტოვა შიგაო. ავაზაკებს ეს ფული გამოურთმევიათ და გარედ გასულან. ნოქრები დასდევნებიან ყვირილითა და რევოლვერების სროლით. ავაზაკებსაც ბერდანებით გაუციათ მათთვის პასუხი. ამ ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაჭრილა თავის სახლის აივანზე მდგომი ერთი მანდილოსანი, როგორც ამბობენ, წულეისკირის ცოლი, რომელიც მაშინვე თოფურიას საავადმყოფოში წაუყვანიათ. თავ-ზარ დაცემულ ვაჭრებს მაშინვე მაღაზიები დაუკეტნიათ. ავაზაკები ბერდანის სროლით გაქცეულან. პოლიცია ნახევარ საათის შემდეგ მისულა ბრძოლის ველზე ამბის გასაგებად და ოქმის შესადგენად.

⁂ ამ ჟამად დიდი ნაკლებობაა ხორცისა ტფილისში. თითქმის მეხუთედი არ იკვლის იმისი, რაც საჭიროა ტფილისელთათვის. ზოგიერთ დუქნებს პირობა შეუკრავთ ამა თუ იმ დაწესებულებასთან, ხუთ-ექვს საკლავის ხორცს მოგიტანთ ხოლმე დღეშიო და ძლივს ერთისა და ორის საკლავის ხორცი მიაქვთ თურმე.

⁂ შაბათს, 7 მარტს, დანიშნული კრება წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისა, არ შესდგა. შემდეგი მორიგი კრება დანიშნულია შაბათს, 13 მარტს.

⁂ იბეჭდება და მალე გამოვა კრებული ია ეკალაძის თხზულებათა. კრებულში მოთავსებულია ყველა მოთხრობა ახალგაზდა ბელეტრისტისა.

⁂ დღეს, 10 მარტს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საგანგებო კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა ტფილისის ქალაქის საბჭოში. მკურნალი ფ. მ. ბლიუმენტალი წაიკითხავს ლექციას: «ჭლექი და როგორ ებრძვიან ჭლექს დასავლეთ ევროპაში».

⁂ იმ ღარიბ ხარჯის მძლეველთ, რომელთაც საადგილ-მამულო გარდასახადი აბაზზე ნაკლები შეხვდება, სულ აღარ გადახდებათ ამას იქით ეს გადასახადი.

⁂ რაკი ელექტრონით სასიარულო გზები და ვაგონები უნდა შემოიღონ ტფილისში, ამის გამო საჭიროა ტელეფონის მავთულებიც სხვანაირად გაიბას.

⁂ ლეჩხუმის სოფელ ჰრებალოში დაარსდა საფოსტო-სატელეგრაფო კანტორა.

⁂ ჩვენ გვქონდა მოხსენებული გუშინ, რომ საქართველოს ეგზარხოსი, არქიეპისკოპოსი ალექსი საგარეჯოს გაემართაო. სასურველია, რომ ეხლა მაინც მიაქციოს საგარეჯომ და მის ახლო-მახლო სოფლებმა ყურადღება იმ ეკლესიებს, რომელთაც მეტის-მეტად სჭირიათ შეკეთება. შეკეთება სჭირია, მაგალითად, საგარეჯოს ზემოუბნის ღვისმშობლის საყდარს და წმ. ნინოს მონასტერს სოფ. ნინო-წმინდაში.

⁂ სიღნაღიდგან გვაცნობებენ, რომ ათონის ივერიის მონასტრის მამულები, საქართველოს მეფეთაგან შეწირულები, დაუჩემებიათ სომხებს. ეს სომხები აღარც იჯარის ფულს აძლევენ მონასტერს და აღარც უნდათ სცნონ მონასტერი იმ მამულების პატრონად. ჩივილიც ძნელია, რადგან დამჩემებელნი ამბობენ, დიდი ხანია ჩვენ გვიჭირავს და ჩვენა ვფლობელობთ, როგორც სრულს საკუთრებასაო. საუბედუროდ, მონასტრის წარმომადგენელმა და მამულების გამგებელმა არქიმანდრიტმა არც რუსული იცის, არც ქართული. ვექილის მიწვევა ძვირად უჯდება, რადგან წვრილ-წვრილი სადავო საქმეებია და კანონი-კი ნებას არ აძლევს, რომ წარმომადგენელმა, რომელმაც არ იცის არც რუსული და არც რომელიმე აქაური ენა, სასამართლოში საქმე აწარმოვოს. ამისათვის რამდენიმე საქმე მონასტრისა სიღნაღის მომრიგებელმა მოსამართლემ განუხილველად დასტოვა.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შეგირდებს დაითხოვენ საზიარებლად მომავალ კვირაში.

⁂ იბეჭდება მეორედ ბ-ნ არ. ქუთათელაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო «წყარო».

⁂ შესდგა კერძო საზოგადოება, რომელსაც განზრახვა აქვს დახმარება აღმოუჩინოს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ შეგირდებს. ამ საზოგადოებას თავმჯდომარეობს კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანი. საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით გაუმართა უფასო სასადილო ორმოც-და-ათ ღარიბს შეგირდს. სადილობის დროს მორიგეობენ საზოგადოების წევრნი.

⁂ კვირას, 7 მარტს, კავკასიის მთავარმართებლის სასახლეში, გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა კავკასიის წითელის ჯვრის საზოგადოების განყოფილებას. კრებას დაესწრნენ: მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი, გენერალ-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი, გენერალ-ლეიტენანტი ფადეევი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი, გუბერნატორი ი ნ. სვეჩინი, ლ. ა. სვეჩინისა, გენერალი ტარანოვსკი, გენერალი ფონ-პარკაუ, მ. ი ვოსტორგოვი, და სხვ.; დაესწრნენ აგრეთვე ადგილობრივი რუსულ გაზეთების რედაქტორები: «კავკაზისა»—ა. თ. ბელინსკი, «ნოვ. ობ.»-სა—გ. მ. თუმანოვი და «ტფილ. ფურც.»-სა—ქალანთაროვი. თავმჯდომარემ თავ. გ. ს. გოლიცინმა დაიწყო თუ არა კრება, მისმა ამხანაგმა ი. ა. მალინინმა კრებაზედ დამსწრეთ მიჰმართა შესაფერის სიტყვით. შემდეგ დაიწყო შემოწირულებათა მიღება. თვით თავმჯდომარემ გ. ს. გოლიცინმა და მისმა მეუღლემ მ. თ. გოლიცინისამ წითელის ჯვრის საზოგადოებას შესწირეს 5,000 მან. და 1,200 ბოთლი ღვინო დაჭრილთათვის. დაადგინეს აგრეთვე, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ საცვლების დამზადებას ჯარისკაცთათვის.

⁂ კავკასიის საოლქო ინტენდანტად ახლად დანიშნულს გენერალ-მაიორს ნ. ე. აგაფეევს, როგორც გავიგეთ, ტფილისში მოელიან ამ თვის ბოლოს.

⁂ ექიმის სობოლოვსკის ლექცია: «იაპონია და იაპონელები», რომელიც გუშინისთვის იყო დანიშნული, გადადებულ იქმნა.

⁂ გუშინ-წინ, სეიდაბადისაკენ ორი უბედურება მოჰხდა. ერთს სარაიეში დანით მოჰკლეს ვიღაც კაცი, ხოლო მეორეში დასჭრეს რომელიღაც თათარი.

«კახელ მევენახეთა საზოგადოების» წევრთა საზოგადო კრება.

5 მარტს, 11 საათზედ, საზოგადოების ბიუროს სადგომის დარბაზში შეიკრიბნენ კახელნი მევენახენი. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, თავ. სიმონ რევაზის ძე ვახვახიშვილმა, წინადადება მისცა დამსწრე წევრთ, ხელი მოეწერათ ოქმზედ და შემდეგ გამოუცხადა, რომ ეს კრება, როგორც მეორედ დანიშნული, კანონიერად უნდა ჩაირიცხოს და გთხოვთ, თავმჯდომარე ამოირჩიოთ და მორიგ საგნების განხილვას შეუდგეთო.

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს თავ. ნიკოლოზ ზაალის ძე ჩოლოყაშვილი. მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად—ზაქარია ზაალის ძე მაჭავარიანი.

კრების დაწყებამდე ითხოვა სიტყვა თავ. რევაზ მ. ყარალაშვილმა და თავისს სიტყვაში მაბეზღარად და წევრთა შორის შფოთის შემტანად აღიარა «ნადიკვრელი», დაასაბუთა ნათქვამი იმ კორესპონდენციით, რომელიც ეხებოდა ოპოზიციის მზადებას თელავში და მისს მომავალ გალაშქრებას თელავის ბიუროში მოსამსახურეთა წინააღმდეგ *). თავ. რ. ყარალაშვილის სიტყვამ გამოიწვია საკითხი, —მიეცეს დასწრების ნება პრესის წარმომადგენლებს და გარეშეთ, თუ არა? შემდეგ კამათისა, რომელშიაც თავმჯდომარე კრებისა და გამგეობისა ბეჯითად თხოულობდნენ ყველასათვის დასწრების ნების მიცემას, ნება მიეცათ ყველას, დასწრებოდნენ კრებას იმ პირობით, რომ მსჯელობაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

წეს-რიგის უკეთესად და უნაკლულოდ დაცვისათვის, კრების თავმჯდომარის განკარგულებით, დარბაზის მარჯვენა მხარეს მოათავსეს საზოგადოების წევრნი, მარცხენა მხარეს—პრესის წარმომადგენელნი და გარეშენი, ე. ი. არა-წევრნი.

კრებას მოხსენდა გამგეობის თავმჯდომარისაგან წლიური ანგარიში, თვითოეული განყოფილება იქმნა აღნიშნული და განმარტებული არსებითად განხილვა წლიური ანგარიშისა, თანახმად თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილის თხოვნისა, გადაიდვა მეორე დღისათვის.

თავმჯდომარე. ეს არის, გადმომცეს ორი განცხადება კრების მოსახსენებლად. წესდებით, ყოველი განცხადება, ანუ საჩივარი, შვიდის დღით ადრე უნდა წარედგინოს საზოგადოების გამგეობას და უკანასკნელმა თავის დასკვნით უნდა წარუდგინოს კრებას. ამისათვის მე უღრმოდ ვსთვლი განცხადებათა წარმოდგენას და უკანონოდ მისს განხილვას.

გამგეობის თავმჯდომარე თხოულობს, რომ მოხსენდეს კრებას განცხადებანი.

თავ. ალ. რ. ვახვახიშვილი. მე ვთხოულობ, რომ კრებაზედ სისრულით იყოს დაცული წესდება. შეიძლება მოვისმინოთ, ხოლო ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ წაკითხულის შესახებ.

კრებას მოხსენდა ჯერ განცხადება თავ. ზ. რ. ჭავჭავაძისა, რომელიც უჩიოდა გამგეობას წევრად მიუღებლობას და სთხოვდა კრებას, მიეღოთ წელსავე იგი და იმისი და წევრად.

ახლა მოხსენდა განცხადება თავ. გ. ყარალაშვილისა, რომელიც აცნობებდა კრების თავმჯდომარეს, ავადმყოფობის მიზეზით ვერ ვესწრები და ვთხოვ, კრებას მოახსენდეს: 1) უეჭველად წაეკითხათ სია იმ წევრთა, რომელთაც მეტი ფული აქვთ გატანილი და აქამდე არ შეუტანიათ; 2) რომ გამგეობამ არც ერთ წევრთაგანს არ მისცეს მეტი ფული და რომ ეს ადვილად შესაძლებელია, თუ გამგეობის თავმჯდომარე დაივიწყებს თავისს გულჩვილობას და მეტის-მეტ კეთილის მყოფელობას; 3) რომ საზოგადოების წევრთაგან ბანკებში გადასახადის სარგებლის შეტანა უეჭველად იყოს მოწესრიგებული; რადგანაც ძალიან აგვიანებს გამგეობა ფულის შეტანას, შესატან სარგებელს ზედ ემატება ჯარიმები და სხვა გადასახდელები, რაც საზარალოა ყველასათვის. ამას გარდა, დაგვიანებით სხვა ხიფათიც მოგველის, თუ ვიფიქრებთ, რომ საზოგადოებამ იზარალა და ან სხვა რომელისამე მიზეზით ვეღარ შეიტანა გადასახდი სარგებელი, მაშინ წევრთ დრო აღარა რჩებათ, რომ მოასწრონ შოვნა ფულისა და შეტანა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ყველასაგან მამულის დაკარგვა; 4) რომ საზოგადოების ყველა დაწესებულებაში მსახურებდნენ წევრთა შვილები და მახლობელი ნათესავები.

ორისავე განცხადების შინაარსი მოვიყვანე დაახლოვებით და არა სიტყვა-სიტყვით. კრება გადიდო მეორე დღის დილის 10 საათისათვის.

ნადიკვრელი.

---

*) სიტყვა წარმოსთქვა ქართულად. იშვიათად მინახავს ასე სწორ-სიტყვაობით მოლაპარაკე ქართველი, როგორიც არის თავ. რ. ყარალაშვილი: თან ზარივით წკრიალა ხმაც შესწევს. სასურველია, ამისთანა მჭერმეტყველობას უკეთესი დანიშნულება ჰქონდეს ხოლმე, ვიდრე დღეს ერგო წილად. ავტ.

ჩვენებური ამბები

დ. სამტრედია. როგორც ვიცით, ამა თუ იმ დაწესებულებას თავ-თავისი განსაზღვრული ფორმა და ხასიათი აქვს და რასაკვირველია, ჩემის აზრით, ერთი და იგივე დაწესებულება, სადაც უნდა იყოს იგი, ერთსა და იმავე აზრს უნდა ემსახურებოდეს. მარა ეს ასე როდი ყოფილა, მხოლოდ სახელით არ განირჩევიან, თორემ სხვა ყველაფერი, მასი შინაგანი ფორმა, ადამიანის ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული, რასაც ნათლად გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება: სამტრედიის დეპოს აქვს საკუთარი სამკითხველო, რომლისათვის თვითეულ დეპოში მომუშავე იხდის ფულს ყოველ თვიურად, მიუხედავად სიდარიბისა, ასე რომ სამკითხველო საკმაოდ შეძლებულია და სწორედ არისტოკრატიულადაც არის მორთული, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ არისტოკრატიულად მორთული სამკითხველო ეკუთვნის არისტოკრატებს და არა უბრალო მუშებს, რადგან მუშები ყოველ დღე მუშაობენ და, რა თქმა უნდა, დასვრილ-დასხუპნულნი არიან. აბა, ისინი როგორ გაჰბედავენ იმისთანა «წმინდა» ადგილს შესვლას, როგორიც დეპოს სამკითხველოა; რომ გაჰბედონ კიდეც შესვლა, ვინ შეადგმევინებს ფეხს... მუშებს მხოლოდ ახდევინებენ ფულს სამკითხველოს შესანახად და დეპოში მოსამსახურეთა მცირე ნაწილი-კი სარგებლობს. აი უსამართლობაც! უმრავლესობა-კი მუშებია, რომლებიც ტყუილ-და უბრალოდ იხდიან ფულს. თუ ოდესმე გასუფთავდა მუშა ისე, რომ გაბედა სამკითხველოში შესვლის ღირსი და მოინდომა გაზეთის ან წიგნის კადათვალიერება, მაშინაც არ ასვენებენ საწყალს, რადგან ოთხი-ხუთი ბრწყინვალე არისტოკრატი მუდამ ბრძანდებიან შიგ არა საკითხავად, არამედ სამუსაიფოდ; სკამებზე წამოწოლილი ისე ხმა-მაღლა ბაასობენ, თითქოს რომელსამე რესტორანში იყვნენ და არა სამკითხველოში. ამიტომ კითხვა მოუხერხებელია. მუშა იძულებულია ხოლმე დაანებოს თავი კითხვას და მოშორდეს სამკითხველოს...

სასტიკად აღკრძალულია სამკითხველოში გარეშეთა შესვლა, შემთხვევით თუ ვინმე შესცდა და შევიდა, ვაი იმისთანა შესვლას! ერთს ახედ-დახედავს ბიბლიოთეკარი, რომელიც სულთა-მხუთავს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანს, და თუ შეატყო თავის საბრალოს, მრისხანედ შეუყვირებს: «мы постороннихъ не принимаемъ въ читальнѣ безъ разрѣшенія начальника депо, прошу идти назадъ". საკვირველია, ღმერთმანი! რად ინება დეპოს უფროსმა ხამკითხველოს ამნაირი შეზღუდვა? ნუ თუ სამკითხველო რომელიმე დაწესებულებაა და არა საზოგადო? მარა აქ რაღაც ხრიკებია! მახლას, ბატონებო, მახლას!!..

ერთი სამწუხარო მოვლენა კიდევ უნდა გაუწყოთ. წარსულ წელს, სეკდემბრის ბოლო რიცხვებში, დაარსდა საკვირაო სკოლა. მაგრამ წელს, იანვარში, უკვე განუტევა სული... ღმერთმა აცხონოს! არ ვიცით კი, ვის დავაბრალოთ მისი სიკვდილი! ორში ერთი: ან ჩვე-

---

ერთმა ჩვენთა წარჩინებულთაგანმა წესიერად შენიშნა, ამ წარმოდგენის ღამეს, «იღებს და აწვდენს ვისმე რაიმესო», არამც თუ მეფის. არამედ უფროსის ხარისხით თუ ხნით წინაშე დიდი სიბრიყვე, უზრდელობა იყო. ეგრეთვე წარამარად ულვაშის გრეხა, როდესაც მანდილოსანს ანუ უფროსს ელაპარაკებოდით, უყურებდით, შეურაცხყოფად დამუქრებად ჩაითვლებოდა: «მეფეს თუ რასმე ზრახვიდე, ნუ ათამაშებ ხელ-ფეხსა, ესეც ავია ვინც მუდამ ულვაშს იკეთებს, იგრეხსა» (მეფე არჩილი «საქართველოს ზნეობანი») უმცროსი უფროსს რომ მიუახლოვდებოდა, შორიდანვე მხარზედ შეყრილ კაბის (ჩოხის) სახლებს, ძირს ჩამოიყრიდა, იღლიის ქვეშ ამოიდებდა, ქოშებს ხელით დაიჭერდა, ოდნავ ქუდს *) აიხდიდა, თავს მოიხრიდა ოდნავ, ხანჯლის ტარზედ ორთავ ხელს დაიდებდა და თავ მოხრით, არა შეუპოვრად თვალი-თვალში გაყრილი, ფეხი-ფეხს გადადებული მდაბლად იდგა და მინამ უფროსი ხმას არ გასცემდა, სალამს არ მისცემდა, («სალამი, მამიშენის მზეს, სალამი!») ხმას ვერ ამოიღებდა, სალამს ვერ უძღვნიდა უკეთუ მაჯა კაბისა სახლებში ჰქონდა გაყრილი, ვერც ახალუხის, ვერც კაბის (ჩოხის) ყოშს ვერ გადიწევდა. უკეთუ ჩამომჯდარი იყო ტახტზედ, სკამზედ ფეხს ფეხზედ ვერ შემოიდებდა, —უფროსს ზურგს ვერ შეაქცევდა ვერც გამოსალმების დროს, ვერც კვლავ,—და როცა გამოეთხოვებოდა – ოდნავ ქედ მოხრილი, პირ უფროსისაკენ მიქცეული უკან-უკან უნდა დაეწია, —ვერ წამოწვებოდა სწორედ, არა ტან მოხრილი, წელში გაშლილი უნდა მჯდარიყო. ცხენოსანი უმცროსი აუცილებლად უნდა ჩამომხტარიყო ცხენიდგან, მიახლოვებოდა რა სადგურსა უფროსისასა, ანუ შეხვდებოდა გზაში. მინამ უფროსი არ იგემოვნებდა, ნებას არ უბოძებდა, უმცროსი ვერც სასმელს, ვერ საჭმელს ვერ მიეკარებოდა. მოკითხვის დროს უმცროსი ვერ იტყოდა: «ჩემი ცოლი», «ჩემი ქმარი», არამედ «თქვენი მოახლე», «თქვენი და», «თქვენი რძალი», «თქვენი მოსამსახურე», «თქვენი ძმა», «თქვენი სიძე», «მაზლი»,—იმის დაგვარად ვის უგზავნიდა პასუხს თანასწორს, თუ უფროსს. მომჩივარი გლეხი გულ-ხელ დაკრეფილი უნდა მდგარიყო წინაშე მსაჯულისა, უფროსისა, ბატონისა. ჯერ დღესაც არ იციან, და პირველ ხანებში რუსების საქართველოში შემოსვლისა ხომ სრულიად არ იცოდნენ ჩინოვნიკობამ ჩვენი ზნე-ჩვეულება. რამდენ მომჩივარ გლეხს, თუ საწყალ აზნაურშვილს «ასე გულ ხელ-დაკრეფილ მდგარს წინაშე «უფროსისა. მოხვედრია «პრისტავული სილა» ამის გამო: «როგორ ჰბედავ, შე ასეთო და ისეთო, ჩემს წინაშე ეგრე ბრიყულად—გულ-ხელ-დაკრეფილი დგომა? რა ჩემი უფროსი ხარ?! გამოიჭიმე, —ჩამოიღე ხელები! Руки по швамъ?! ხელის ჩამორთმევა ძველად, რუსების შემოსვლამდისინ, არ იყო. გამიგონია, არ ვიცი-კი რამდენად მართალია, რომ ვითომც თ. გულბაათ ჭავჭავაძემ, ჩვენ სახელოვან გენერალ ზაქარიას მამამ, ხელი არ მისცა თურმე ხელმწიფე მემკვიდრე ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს: «ჩვენი ჩვეულების წინააღმდეგიაო»,—ასე მოახსენა თურმე მემკვიდრეს. მოგახსენებენ, როდესაც ჩვენი დეპუტატები დაბრუნდნენ პეტერბურგიდან, სადაც იგინი იყვნენ მიწვეულნი იმპერატორ ნიკოლოზის გვირგვინის კურთხევის დროს, და ჰკითხეს: რა ჰნახეთ, რა არაო, თურმე სხვათა შორის, მიუგეს: «არ ვიცით, რა იყო ესეო. ხელმწიფემ ხელი ჩამოგვართვაო, აიქნია და დაიქნიაო! si non cero, eben trovato..

ყოველივე ეს დღევანდელ დღემდისინ ინახება ბევრ ჩვენ ძველ ოჯახებში, დარღვევა ამ წესრიგისა უკადრისობად, უზრდელობად ითვლება დღესაც... მინამ მამა ჩემი ორჯერ-სამჯერ არ მიბრძანებდა, ვერ დავჯდებოდი და პირველი ხმას ვერ გავცემდი, თუმცა-კი ცოლშვილიანი ვიყავი.

«ბატონის დარბაზის კარი, რა გინდ რომ მაღალი იყოს
თავ მოხრით უნდა შევიდეს, არც ლაჯში თავი გაიყოს,
უმცროსის კაცის უფროსმან ხელი საჭმელზე წაიყოს,
. . უმცროსმა კაცმა უფროსი არ უნდა დაიწვიოსა
ადგეს, სჯობს ისე მჯდომელმან ქვემორე დაიწიოსა
საჩოქეთ რა შეიყარნენ უწინ მან წაიწიოსა
და არცა უხამსად დამდაბლდეს, არც ბეწვად აიწიოსა
ორმან ტოლმან ამხანაგმან დაიწვიოს რა მესამე
ორთავ თავს არ გადუარო და ჩაუჯე შუა ხომე,
... უდროოდ და უადგილოდ ნუ იმღერი ნუ ისამე,
ჯდომაში ფეხი გარეთი ზეით არ უნდა დაიდო;
პირში რომ გედვას ნუ უბნობ, სიტყვას აღვირი აიდო,
მეორემ სიტყვა აცალე, თუ არ გთენდეს წუკმა წაიგდო
და ხელს ნუ დაიბჯენ ადგერა იქ ჯოხი მხარს არ გაიდო
წინჯდომით უკან უკუხრით ზურგს ნუ მიჰკიდებ კედელსა
ნურც თავს დაჰკიდებ, არ ჰგავნდე თვალ ნაკლებ ოქრომჭედელსა
ცალს თეძოზედ არ დასჯდე, რად ევე ძნელს მოსადებელსა
და ცხვირის გამოკრკნა არ წაგცდეს, ნუ ეძებ კბილის საჩიჩხნელსა
თუ რომ ბატონმა გიბოძოს ორის ხელით ჩამოართვი
აგრევ შენგან მინართმევი ორისათვე მიართვი
ამხანაგსა მარჯვნით მჯდომსა, მარცხენათი გამოართვი
და მარცხენასა მონაცემი კვლავ აქათით წამოართვი
ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გადეყუდო
ზეზე მდგომი ფეხს ნუ იკავ, ნურც ბოძს ხელხვევ თუ არ ცუდო
ნუ იცინი, ნურას უბნობ, არც ვინ ჯოხს ჩამოეყუდო
და თუ ვინ ესრე არ ზრდილობ, მაშ იქნები სვანი ყუდო.
მეფეს თუ რასმე ზრახვიდე, ნუ ათამაშებ ხელ-ფეხს,
ესეც ავია ვინც მუდამ ულვაშს იკეთებს, იგრეხსა.
ოდეს ბატონი ბრძანებდეს სიტყვასა რასმე ქართულსა
მოკლეს თუ გრძელსა ამბავსა ერთმანერთზედან წართულსა
ნუ ლაპარაკობ – დაჩუმდი, ნუ ჰგავხარ კაცსა ქურთულსა.

(«საქართველოს ზნეობანი—მეფე» არჩილისაგან აღწერილი).

ნ. ი. ალექსი-მესხიევი.

(შემდეგი იქნება)

---

*) შინ თუ გარედ ქუდს არ იხდიდნენ მხოლოდ ეკლესიაში. ერთ დროს-კი, თათართა ყიენების დროს, ეკლესიაშიც არ იხდიდნენ, თუმცა კი იყო ჟამები როდისაც ქუდის მოხდა სავალდებულო იყო (ვახუშტი) „საქართ. ისტ., კაბ. 15, სეკ. ტიბიკონი“.

ნის პედაგოგების დაუდევრობას ან და აქაურ ბობოლებს, რომელნიც იმ თავითვე რაღაც ეშმაკურის თვალით უცქეროდნენ. თუმცა აქაური პროგრესისტები ძლიერ დაადონა საკვირაო სკოლის სიკვდილმა, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან გაახარა რეგრესისტების გული. ასეა თუ ისე, სამტრედიაში ჯერ-ჯერობით უმრავლესობა რეგრესისტებია და, რა თქმა უნდა, რეგრესს კაი ბაზარიც აქვს... საკვირაო სკოლის ნათლობა იკისრა იმ თავითვე «ცნობის ფურცლის» ყოფილმა კორესპონდენტმა სანდრომ და, რასაკვირველია, პირისუფლობაც იმას ეკუთვნის ახლა. ამიტომ სანდრო თურმე დიდ ფაცა-ფუცშია, ემზადება ქელეხის გადასახდელად. ქელეხზედ დასასწრებლად იწვევს ყველა თავის თანამოაზრეებს იმ დარბაზში, რომელშიაც იმის აზრით, თეატრის დარბაზი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჟამთა ვითარების გამო, დღეს სამიკიტნოა გამოჭიმული... იმედია, ბ-ნი სანდრო თავის ნათლულის ქელეხზე იტყვის შესაფერ სიტყვას... ჩვენ-კი ჩვენის მხრით ვეტყვით განსვენებულს: საუკუნოდ იყოს სსენება შენი, სხვების ხამაგალითოდ უდროვოდ გარდაცვალებულო საკვირაო სკოლავ!

რიონის პირელი.

დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მარტი.

თეჰერანი. პარაკლისის შემდეგ გაიმართა სახელოსნო, რომელმაც უნდა დაამზადოს თეთრეული საავადმყოფოსათვის. ეს საქმე დაიწყო კაპიტან კრიმსკის ცოლმა. სახელოსნოს გამართვის დროს დაესწრნენ ელჩი, რუსეთის მისსია მთელის ამალით, ყაზახთა ბრიგადის რუსი აფიცრები და რუსეთის ახალშენი.

პეტერბურგი. დეპეშა გენერალ ქილინსკისა 7 მარტიდან: „ჯარები მხნედ არიან, ავად არავინ არის. როგორც საზღვრის დარაჯნი იუწყებიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მშვიდობიანობაა. სადგურ უძიმის ახლო შტაბს-როტმისტრმა აქსენევმა, რომელსაც 70 ყაზახი ჰყავდა, დაამარცხა ხუნხუზთა ბრბო—ას კაცამდე. მართლდება ის ხმები, რომ ან-ჩჟუ და პენიანი მტრის ქვეითა დ ცხენოსანმა ჯარმა დაიჭირაო. ან-ჩჟუსა და პენიანის გზაზე დიდი მოძრაობაა ჯარებისა და ბარგისა. ამას წინად ცინამპოში 13 გემი გადასცალეს, როგორც იუწყებიან. გაოძიაოსთან და ცინ-ჩჟოუფუს პირდაპირ არავითარ მე მზადება არ არის ჯარების გადასასხმელად. უცხოელთა გაზეთების ცნობები, ვითომ იაპონიამ სხვა-და-სხვა ალაგას გადასხა ჯარებიო, სულ ტყუილია

ბრემენი. გუშინ გიბრალტარიდან მაგონს წავიდა ის გემი, რომელზედაც არის იმპერატორი ვილჰელმი.

იოჰანნესბურგი. («რეიტ. სააგ.»). კულიების უბანში ჭირი აღმოუჩენიათ, 27 კაცი მომკვდარა. ევროპიელთაგან არავინ გამხდარა ავად.

ყაზანი. მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინე ძე და მივიდა ტაძარში, აქედან იუნკერთა სასწავლებელში.

ტოკიო. («რეიტ. სააგ.» . იმპერატორმა დაასრულა სიტყვა, რომელიც პარლამენტის დაწყების დროს წარმოსთქვა, იმითი, რომ გამოუცხადა მადლობა ჯარებს, რომელთაც ამისთანა გაჭირვების დროს გამოიჩინეს განუდრეკელი სიმამაცე და ერთგულება.

9 მარტი.

ნიუ-ჩუანი. მივიდა ტიან-ცინში გერმანიის კონსული და გამოუცხადა აფიცრებს, ჩემი მოსვლის აზრია—ავხსნა, რას უნდა მივაწეროთ, რომ გაავრცელეს ამაშფოთებელი ამბები, ვითომ აქ მყოფ გერმანიის ქვეშევრდომთ შიში მოელითო.

სეული. იმ ორი ათას კორეელ ჯარისკაცთაგან, რომელნიც სამხრეთისაკენ მიდიოდნენ წესრიგის დასაცველად, 400 კაცი გაიქცა.

ბერლინი.(სპეციალური). კობედან ირწმუნებიან, იაპონიის ჯარებში სახადი მძვინვარებსო. იაპონელები დიდ ძალ ჯარებს აგროვებენ ჩრდილოეთ კორეაში, სადაც დიდ სამხედრო საქმის დაწყებას აპირებენ.

ნიუ-ჩუანი. იაპონელთა ოთხი ჯავშნიანი გემი, სამი კრეისერი და ორი ნაღმოსანი მდინარე ლიასის (ლიაო?) შესავალში დგანან. იაპონელებმა საზვერავად რამდენჯერმე გადასხეს მცირე რაზმები, რომელნიც ისევ გემებზედ დაბრუნდნენ.

ჩიფუ. აქ მოვიდა ადმირალ ცლას უფსობრობით ესკადრა, რომელშიაც არის კრეისერები: „ხაიჩიი“, «ხაიჩენი“, «ხაიტიანი» და «საიჩეუ». როგორც ამბობენ, ესკადრა ნიუ ჩუანს წავა, გადნება თუ არა მდინარე ლიაზე ყინული.

ბერლინი. კობედან იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ კორეაში მყოფ რუსებისა და იაპონელების მოწინავე რაზმებს შეტაკება მოსვლიათო. ინჩჟუსთან ტყვედ წაიყვანეს ექვსი ოფიცერი და ორიც სამოქალაქო კაცი და გაჰგზავნეს ირკუტსკში. როგორც ლონდონისა და პორტ-არტურიდან მოსულის ცნობებიდანა სჩანს, 26 და 27 თებერვალს ბრძოლის დროს, იაპონიის ჯავშნიან გემს „შაკაზას“ აოი ყუმბარა მოარტყეს; გემი ძლიერ დაზიანებულა

მოსკოვი. ამბავი მოვიდა, რომ შორეულ აღმოსავლეთში გახურებული ვაჭრობააო, რასაც არ მოელოდნენ. მანჯურიაში და პრიამურის მხარეში თითქმის ყველა სავაჭრო აკლიათ. ხარბინში ძლიერ სჭირდებათ ჯარის სადგომებისათვის საჭირო მასალა; ხე-ტყე გაძვირდა. ათასი აგური 13 მ. ღირს. რადგანაც დაზღვევა საქონლისა მოსპეს, ამერიკიდან სამეურნეო იარაღის მიღება აღარ შეიძლება.

ჰააგა. ადმინისტრაციული საბჭო სამედიატორო სასამართლოსი არ გაარჩევს იაპონიისაგან გამოთქმულს პროტესტს მურავიოვის სიტყვის გამო, რადგანაც თვით ამ პროტესტის საშუალებით საგანი მთლად გამოირკვა.

ბელგრადი. რუსეთის მთავრობის მოთხოვნილებისამებრ, სასახლის შტატიდგან, პოპოვიჩის გარდა, უნდა დაითხოვონ ადიუტანტი მილანოვ-იოვანოვიჩი და სამი ორდინანცი.

რომი. პაპმა ენციკლიკა გამოსცა, რომელშიაც ამბობს აწინდელის საზოგადოების გახრწნასა და ურწმუნოებაზე, რის მიზეზსაც ხშირად მეცნიერება იძლევაო.

9 მარტი.

ირკუტსკი. გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი მოვიდა ასე ნაშუაღამევის 2 საათზედ. რადგან გვიან იყო არავინ მიუღია. დილის 8 საათზედ მატარებელი ბაიკალის სადგურისაკენ გაემართა

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). საპარლამენტო დასთა წინამძღოლების მოლაპარაკებით გამოირკვა საბოლოოდ, რომ მთავრობას უკან მიაქვს თავისი პროექტი მარილის მონოპოლიის დაწესებისა და აბრეშუმზედ ბაჟის მომატებისა. მხოლოდ საადგილ მამულო გარდასახადის მომატებას მოითხოვს, მაგრამ არა იმაზედ მეტისას, რაც წინადაც ჰქონდა ფიქრად. სამინისტროს წევრთა და დასთა წ ნამძღოლთ გამუდმებულ მოლაპარაკება აქვთ. ამ მოლაპარაკებით ირკვევა. განზრახული სამხედრო გარდასახადები რამდენად ეხება კერძო ინტერესებს. თანდათან უფრო ვრცელდება ის აზრი, რომ მთავრობა არც ერთხელ არა სცდილა ომის საწარმოებლად ფული ეშოვნა ხალხის გაბეგვრით და ახალის გარდასახადების შემოღებით. პირ-იქით, მთავრობა უნდა ეცადოს მოსპოს ქაღალდის ფული და ამ სახით ნაკისრის ვალის გადახდა უნდა განაწილდეს რამდენისამე ხნის განმავლობაში. დეპუტატთა პალატაში ბევრ იქმნება მსჯელობა, რომ გამოეცხადოს ფლოტს ერის მადლობა იმ მამაცობისათვის, რომელიც დღემდე გამოიჩინა მან.

კანსკი. 7 მარტს დღის პირველ საათზე მოვიდა გენერალი კუროპატკინი, რომელსაც მიეგებნენ ქალაქის მცხოვრებნი და სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. გენერალმაც სალამი მისცა და ისურვა დღეგრძელობა და დიდება ხელმწიფე იმპერატორისა. ამის პასუხად გაისმა «ურა», ხალხმა მისცა ბანი და არ შეწყვეტილა მატარებლის წასვლამდე.

მარსელი. პოსტის გემით შორეულ აღმოსავლეთიდან მოვიდა ტოკიოელი რუსეთის ელჩი ბარონი როზენი, რუსეთის მთავარი კონსული იოკოჰამაში სივერსი და ნაგასაკის კონსული თავადი გაგარინი.

შანხაი. („რეიტერის სააგენტო“). როგორც ნიუ-ჩუანიდან იტყობინებიან, იაპონელებმა ტუტუნგის უღელტეხილი გადაიარესო. ხმა დადის, იაპონელებს რუსებთან შეხლა შებრძოლება ხვდებათო; ამბობენ, ვითომ იაპონელებს გზა გახსნილი აქვთ სატევად მოტიევის უღელტეხილისაკენ, სადაც თურმე რუსეთის ძლიერი რაზმია.

ბერლინი. აქაურმა პრესამ აღნიშნა, თუ რა ცუდი გავლენა უნდა ჰქონდეს იაპონიის ფლოტის ამოდენ ხნის ზღვაში ყოფნასა; რუსეთის საგერ ტაქტიკისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვსო; რუსეთის გემებს არ გამოუცდიათ ეს მდგომარეობა და ამიტომ გემების მოსამსახურენი სალისიანად არიან.

პეტერბურგი. ეკატერინოსლავის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გრაფი კელლერი სამხედრო მინისტრის განკარგულებაში ჩაირიცხა.

ყაზანი. დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა რუსეთის საიმპერატორო მუსიკალურს საზოგადოებისამ, ღირს-ჰყო და დაათვალიერა ყაზანის განყოფილების სიმფონიური კრება.

სეული. («რეიტ. სააგ.»). მარკიზ იტოს ებოძა ორდენი «ქლიავის ყვავილისა». ამ ნიშანს აძლევენ მხოლოდ სამეფო კაცებს. იაპონიის ელჩს გაიაშს უბოძეს პირველის ხარისხის ორდენი კორეის ეროვნულის დროშისა. მარშალმა იტომ, როდესაც იმპერატორთან იყო სადარბაზოდ, ურჩია რომ უეჭველად შეუდგეს რეფორმების შემოღებას რომელიც ნელ-ნელა და თანდათან უნდა იქმნას განხორციელებული, რადგანაც საშიშია რომ ერთბაშად რეფორმების შემოღებამ ხალხში აღელვება არ გამოიწვიოს, როგორც ეს 1895 წელს იყო მეტად აჩქარებული რეფორმების მიზეზითაო. იაპონელებმა პენაინთან შეაჩერეს ამერიკის სამხედრო აგენტი, გენერალი ალლენი და სთხოვეს, რომ არ მიუახლოვდეს წინ გადგმულს სიმაგრ ს.

პეტერბურგი. დ. ს. ს. ლელიანოვს ებრძანა იყოს პეტერბურგის ქალაქის მოურავად მიმდინარე ექვსის წლის განმავლობაში.

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმი ჰფიქრობს მიბრძანდეს გენუას 16 აპრილს გემით „ჰოჰენცოლლერნ“-ით. მონარქის ბერლინს დაბრუნებას მოელიან 18 აპრილისათვის.

მეორე შინაგან მომგებიან სესხის ტირაჟი, მოხდენილი 1904 წლის 1-ლ მარტს.

№№ სერიებისა.	№№ ბილეთ.	მოგების ჯამი	№№ სერიებისა	№№ ბილეთ.
11,598	47	200,000	1 637	30
4 430	29	75,000	10,888	16
3,687	16	40,000	2,680	41
18,389	41	25,000	17,039	2
14,149	1	10,000	18,277	13
18,985	28	10,000	16,111	43
10,824	33	10,000	15,888	11
19,645	50	8,000	11,790	34
3,128	13	8,000	8,264	15
3,901	11	8,000	82	47
9,047	2	8,000	18,189	47
14,122	47	8,000	16 728	27
7,470	41	5,000	17,874	59
5,829	24	5,000	7 852	37
15,688	22	5,000	594	2
10,688	46	5,000	4 333	2
4,631	11	5,000	15,058	20
15,1 7	43	5,000	5,494	25
19,463	29	5,000	4,913	1
11,608	38	5,000	11,616	19

ხუთას-ხუთასი მანეთი:

№№ სერიებისა.	№№ ბილეთ.	№№ სერ.	№№ ბილეთ.	№№ სერ.	№№ ბილ.
10654	1	13300	17	17843	35
13330	1	5053	17	1697	35
3747	1	17330	17	14959	36
19303	1	18754	17	988	36
11708	1	11189	17	895	36
12072	1	2283	17	6262	36
13274	1	19406	18	10028	36
9501	1	2736	18	16970	36
2458	1	5342	18	19035	37
14753	1	2462	18	13952	37
494	2	5414	18	12684	37
4323	2	14556	18	19903	37
16434	2	10349	18	18248	37
18728	2	17946	18	19444	38
5639	3	14475	19	9228	38
1669	3	15047	19	2734	38
796	3	6282	19	14556	38
5850	3	6389	20	2026	39
554	3	11630	20	448	39
8395	3	17830	20	1890	39
5983	4	10246	20	1466	39
13786	4	7236	20	17402	39
15996	4	2254	20	6396	39
1656	4	5263	21	9880	39
8838	4	15113	21	7483	39
3301	5	9456	21	3771	40
18856	5	14998	21	893	40
8016	5	6047	21	19823	40
9788	5	7744	22	16205	40
3462	5	1348	22	17154	40
3802	5	11938	22	7084	40
9045	6	4945	23	8586	41
5133	6	12157	23	15459	41
15451	6	10581	23	8443	41
2478	6	18146	23	11533	41
17307	6	5733	23	11668	41
11228	7	2914	24	1129	42
2333	7	14100	24	1807	42
15964	7	18519	24	7073	42
14845	8	14660	25	4319	42
16931	8	13219	25	11115	42
12157	8	19986	25	18884	43
4719	8	19252	25	1950	43
19127	9	10031	25	8696	43
17516	9	19600	26	299	43
11098	9	10594	26	6424	43
18944	9	13464	26	13919	43
6737	9	18273	26	9181	43
14165	9	4004	26	7844	43
12155	9	6340	26	18814	43
18938	10	6451	27	11246	44
9136	10	19530	27	4173	44
6811	10	12060	27	3751	44
1930	10	2135	27	5702	45
5761	10	15379	27	14865	45
16789	10	8391	28	12178	45
6971	10	15259	28	11322	45
9877	10	4008	28	912	45
9140	11	12140	28	2919	50
1895	11	5751	29	5614	45
1649	11	4342	29	19909	46
15228	11	9191	30	4783	46
7920	11	5685	30	50.	46
4991	11	7283	30	11783	46
11456	11	16937	30	18907	47
4599	12	17788	30	19278	47
5258	12	19602	30	13061	47
4931	12	515	31	17212	48
12422	12	9546	37	6511	48
2901	13	2870	32	13436	48
4183	13	16195	32	4821	48
12972	13	19081	32	2929	48
14395	13	11590	32	12620	48
9325	13	13308	32	15591	49
750	13	17327	32	17888	49
2938	14	3932	32	17789	49
4779	14	13946	33	6979	49
621	14	1320	33	108	49
11779	14	15300	33	10290	49
14667	14	7544	33	11429	49
13378	15	8862	33	13512	50
12089	15	17278	34	2339	50
6296	15	10894	34	635	50
8807	16	13287	34	2394	50
2099	16	11273	34	2995	50
15665	17	15460	34	4771	50
13615	17	14552	35.		

გაბათილებულ იქმნა შემდეგის სერიების ბილეთები:

15026, 13103, 7092, 4568, 10576. 7586 4809, 6931, 12889, 11114, 19721, 12557, 17560 9577, 3454, 12634, 8291, 8422, 15429, 18204 15330, 10491, 731, 76, 19524, 12878, 5522 2134, 17161, 3269, 17015, 12326, 15462, 16229, 15863, 8988, 448, 17630, 19707, 10079, 8433, 17211, 4466, 19409, 17653, 19628, 9587, 1922, 7707, 4402, 11587. 7202, 12620 13256, 11917, 18597, 4771, 8372, 19281, 9034, 14887, 9263, 19124, 9275, 3573, 2774, 206, 1310, 1678, 16273, 3790, 10849. 19838, 6849, 1870, 15324, 15139 13677, 13608, 12839, 12243, 14729, 9969, 18355, 5142, 4241, 2387, 18190, 14402 18039, 8188, 877, 13324, 3391, 18030, 8693, 18975, 2980, 2563, 12044, 6827, 12446, 14683, 3672, 7214, 6147. 12336, 1051, 9480, 13908. 8458, 5441, 4113. 13719, 18795, 19033. 10384, 8178, 9899. 19132, 18697. 6324, 15314, 8113, 2913, 1504, 19817. 15077, 4801, 2840, 4102, 11249, 17859, 12219, 15114, 10573 8261, 6737, 19616, 9079, 4151, 12383. 10756, 2343. 18525, 8406, 16209, 15226, 17579, 18099, 17887, 9220, 17940, 13720 19847, 9 6, 13781, 749, 10978, 246.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

პეტერბურგის ბირჟა

5 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	$45,87^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	$37,37^1/$
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	$6—7^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$93^1/_8$ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$91^1/_4$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	360 წვრ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$302^1/_2$ წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$262^1/_4$ ნის. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
$4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	$87^5/_8$ ნის. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	$87^1/_2$ წვ. გაყ.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით)·

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სნებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
გულივერის მოგზაურობა
სვიფტისა, მრავალის სურათით. 16⁰ გვ ფასი 30 კაპ.

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НѢГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и Ко
МОСКВА.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქეჰანა
2.
ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცას-ად დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

Дозволено цензурою Тифлисъ 9 мартъ 1904 г.   Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинарiи.